ზ. ბერიაშვილი — სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი

გ. პოლულიახი — სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

№ 181 (2901) ● სამშაბათი, 14 სექტემბერი, 1965 წ. ● ფასი 2 კაპ.

ერევნის სარბიელზე

ერევანი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). 13 სექტემბერი. დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში მჩატე, მსუბუქი, საშუალო და მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის.

მჩატე წონის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მახაჩყალელი ალიევი და ერევნელი მალიანი. ალიევს პირველი ადგილისათვის ფრეც ჰყოფნიდა და ბრძოლაც სწორედ ასეთი შედეგით დამთავრდა.

მსუბუქ წონაში სსრ კავშირის ჩემპიონი მეოთხედ გახდა თბილისელი ბერიაშვილი. მეოთხე წრეში, ხოხაშვილთან ფრედ დამთავრებული ბრძოლის შემდეგ, მან აშკარა უპირატესობით მოუგო გოგავას და ქულების შეფარდებით 5:1-ზე — ჟურულს. მეხუთე წრეში ხოხაშვილმა ქულებით დაამარცხა ამ წონის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, ორჯონიკიძელი გუსოვი, მაგრამ მიიღო 6 საჯარიმო ქულა და ბრძოლას გამოეთიშა. უდავო წარმატებად უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდა გოგავას ბრინჯაოს მედალი. მან მეოთხე წრეში წმინდად მოუგო ჯღამაძეს (რსფსრ), მეექვსე წრეში კი ქულებით დამარცხდა ჟურულთან.

თბილისელ ცხოვრებოვს (საშუალო წონა) პირველ სამ წრეში 4 ქულა ჰქონდა შემდეგ იგი შეხვდა გურევიჩს და საჯარიმო ქულათა რაოდენობა ექვსამდე გაზარდა (ეს ბრძოლა ფრედ დამთავრდა). ცხოვრებოვი გამოეთიშა ბრძოლას. ფინალში მოხვდნენ გურევიჩი და ალბული (ლენინგრადი), მაგრამ ეს უკანასკნელი ავადმყოფობის გამო საბრძოლველად არ გამოვიდა.

მას შემდეგ, რაც ივანიცკი — მედვედის (მძიმე წონა) ორთაბრძოლა IV წრეში ფრედ დამთავრდა, მინსკელი მოჭიდავის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ივანიცკიმ თავის მეტოქეზე ერთი შეხვედრით მეტი ჩაატარა და პირველი ადგილიც მას მიეკუთვნა.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გამოცხადებულ იქნა ნაკრები გუნდის კანდიდატთა სია, რომელშიც მოხვდნენ საქართველოს წარმომადგენლებიც: ალიბეგაშვილი, ქარსაულიძე, ბერიაშვილი, ხოხაშვილი, გოგავა, სალარაძე, ცხოვრებოვი, მაჭავარიანი, ლომიძე, ანთიძე, ხითარიშვილი.

●

ჩემპიონები და პრიზიორები

უმჩატესი წონა. 1. თ. ალიბეგაშვილი (თბილისი), 2. ლ. ბარსუკოვი (კიევი), 3. ი. კიშიევი (ორჯონიკიძე).

მჩატე წონა. 1. ა. ალიევი (მახაჩყალა), 2. პ. მალიანი (ერევანი), 3. ფ. აკოევი (ორჯონიკიძე).

ქვემსუბუქი წონა. 1. ს. ქარსაულიძე (თბილისი), 2. შ. ტუგანოვი (კიევი), 3. ე. მოროზოვი (ლენინგრადი).

მსუბუქი წონა. 1. ზ. ბერიაშვილი (თბილისი), 2. ნ. ჟურული (ორჯონიკიძე), 3. მ. გოგავა (თბილისი).

ქვესაშუალო წონა. 1. გ. სალარაძე (თბილისი), 2. ი. შახმურადოვი (მახაჩყალა), 3. ვ. ანდრეევი (ლენინგრადი).

საშუალო წონა. 1. ბ. გურევიჩი (კიევი), 2. ა. ალბული (ლენინგრადი), 3. ა. ცხოვრებოვი (თბილისი).

ქვემძიმე წონა. 1. შ. ლომიძე (თბილისი), 2. კ. ლიივა (ტალინი), 3. ნ. ანთიძე (თბილისი).

მძიმე წონა. 1. ა. ივანიცკი (მოსკოვი), 2. ა. მედვედი (მინსკი), 3. ნ. მარკოვი (მოლდავეთი).

თავისუფალი ჭიდაობა

ზ. ბერიაშვილი



გ. პოლულიახი

თბილისელი შეუდარებელი იყო

ვოლგოგრადი, 12 სექტემბერი. დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა წყალში ხტომაში. ასპარეზობის ბოლო დღეს ქალები ასპარეზობდნენ კოშკიდან, ხოლო ვაჟები — ტრამპლინიდან ხტომაში. ქალთა შორის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანმა, მოსკოველმა გ. ალექსეევამ — 100,7 ქულა. II ადგილზე გავიდა უკრაინელი სპორტსმენი ლ. ასაევა — 95,78. III ადგილზე დარჩა ლენინგრადელი ო. ვასილიევა — 91,04 ქულა.

ვაჟთა შორის შეუდარებელი იყო სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონი, თბილისელი ბ. პოლულიახი. მის მიერ დაგროვებული ქულები — 172,79 — საუკეთესოა უკანასკნელი წლების ასპარეზობებში. II ადგილი დაისაკუთრა ერევნელმა ვ. კუვშინკინმა — 158,77 ქულა. III ადგილზეა — მოსკოველი ვ. ვასინი (155,07 ქულა).

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: მოსკოვი, რსფსრ, უკრაინა, საქართველო, ლენინგრადი, სომხეთი, ბელორუსია, ლიტვა, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი (ესტონეთს, ლატვიასა და მოლდავეთს გუნდები არ გამოუყვანიათ).

26 წლის ბორის პოლულიახის წარმატება კანონზომიერთა კატეგორიას მიეკუთვნება. სპორტსმენის გამარჯვებათა „ხაზი" თანდათან ზევით იწევს და მისგან ახალი მწვერვალების დაპყრობას სპორტის მოყვარულნი კვლავ ელიან. ბ. პოლულიახი სსრ კავშირის ჩემპიონი ჯერ კიდევ 1956 წელს გახდა, ოღონდ მაშინ — ჭაბუკთა შორის. 1961 წელს კი იგი უკვე მოზრდილთა შორის ავიდა გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ეს წარმატება მან 1964 წელსაც გაიმეორა. საერთაშორისო სარბიელზე ბ. პოლულიახი 1961 წელს გავიდა: საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში გამართულ შეჯიბრებებზე უცვლელად I ადგილები დაიკავა. ოფიციალური აღიარება კი მან 1963 წელს მიიღო, როცა ევროპის თასს დაეუფლა. 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც მსოფლიოში უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ, თბილისელმა VI საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. უეჭველია, ნიჭიერი სპორტსმენი კვლავ გაგვახარებს დიდი გამარჯვებებით. ამის საწინდარია მისი სიბეჯითე და სპორტისადმი უსაზღვრო სიყვარული, რაც ავრერიგად ახასიათებს ბ. პოლულიახს.

წყალში ხტომა

თასი — საბჭოთა მძლეოსნებს

შტუტგარტში ორ დღეს გრძელდებოდა ევროპის თასის გათამაშება მძლეოსნობაში ვაჟთა გუნდებს შორის. იბრძოდნენ ნახევარფინალებში გამარჯვებულნი: სსრ კავშირის, გფრ-ის, გდრ-ის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთისა და საფრანგეთის ნაკრები კოლექტივები.

პირველი დღის პროგრამის 10 სახეობიდან ჩვენმა მძლეოსნებმა მოიგეს 7. გამარჯვებათა ანგარიში გახსნა ლენინგრადელმა ა. მიხაილოვმა, რომელიც პირველი იყო 110 მ თარჯრბენის ფინიშთან — 13,9. მოსკოველი სტუდენტის ნ. კარასევის ბირთვი ყველაზე შორს — 19,19 მეტრზე დაეცა. თავიანთი სახეობები მოიგეს აგრეთვე: ვ. ბრუმელმა (სიმაღლეზე ხტომა) — 215 სმ, ნ. დუტოვმა (10.000 მ) — 28.42,2, ი. ტერ-ოვანესიანმა (სიგრძეზე ხტომა) — 778, რ. კლიმმა (უროს ტყორცნა) — 67,70 და ესტაფეტა 4×100 მეტრზე — 39,4.

100 მ რბენაში ყველას აჯობა პოლონელმა მ. დუძიაკმა — 10,3. მისი თანაგუნდელი ა. ბადენსკი პირველი იყო 400 მ რბენაში — 45,9, 1.500 მ რბენაში გაიმარჯვა ბ. ტიუმლერმა (გფრ) — 3.47,0.

პირველი დღის შემდეგ 4 ქულის უპირატესობით (48 ქულა) დაწინაურდა სსრ კავშირის ნაკრები. 44 ქულა ჰქონდა გფრ-ს.

საბჭოთა მძლეოსნებმა უპირატესობა შეინარჩუნეს მეორე დღესაც. დასავლეთ გერმანიის მძლეოსნებმა მდგომარეობა ერთგვარად გამოასწორეს და საბოლოოდ ისინი 1 ქულით ჩამორჩნენ გამარჯვებულს — სსრ კავშირის ნაკრებს (86 ქულა), რომელმაც დაისაკუთრა ევროპის თასი. III ადგილზეა პოლონეთის გუნდი.

მესამე ოქრო

სან-სებასტიანი. ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ერთი, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში სსრ კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ მიმდინარე ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ს. მოსკვინი, ს. ტერეშჩენკოვი, მ. კოლიუშევი და ლ. ვუკოლოვი, I ადგილი დაისაკუთრა. ჩვენს გუნდს გადაეცა ოქროს მედალი. სხვათა შორის, სან-სებასტიანის მსოფლიო ჩემპიონატში ეს საბჭოთა სპორტსმენების მიერ მოპოვებული მესამე ოქროს მედალია. სსრ კავშირის ნაკრებმა უკან ჩამოიტოვა იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, გფრ-ის, დანიისა და სხვა ქვეყნების ძლიერი კოლექტივები.

ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონატის მასპინძლებმაც იზეიმეს წარმატება. ესპანელი მ. მასი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა სალიდერო რბოლაში. ველოსპორტის ამ სახეობაში საბჭოთა სპორტსმენები არ გამოდიოდნენ.

იტალიელმა ფაძინიმ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა გამოდევნებით 5 კილომეტრზე რბოლაში პროფესიონალთა შორის.

გ. პროზუმენშჩიკოვას მსოფლიო რეკორდი

გრონინგენი, 12 სექტემბერი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა გ. პროზუმენშჩიკოვამ აქ გამართულ საბჭოთა და ჰოლანდიელ მოცურავეთა შეხვედრაზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში. მისი დროა — 2.45,3, რაც მისსავე მსოფლიო რეკორდზე 0,1 წამით უმჯობესია.

ჭადრაკის საათი!

◆ **ჰავანა,** 13 სექტემბერი. ხ. კაპაბლანკას მემორიალზე რ. ფიშერ — ბ. ივკოვის გადადებული პარტიის დამთავრებამ პირველი დამარცხება აგემა ფიშერს. XII ტურში სმისლოვმა მოუგო ლემანს, ივკოვმა — კობოს, ფიშერმა — ბილეკს, გელერმა — პარმას, რობაჩმა — პახმანს, დონერმა — საბოს, ო'კელიმ — პერესს, ტრინგოვმა — დოდას, ხიმენესმა — გარსიას. ხოლმოვ — ვეიდისა და ჩოკილტია — პიტჩის პარტიები ყაიმით დასრულდა. 12 ტურის შემდეგ ივკოვს 10 ქულა აქვს და ერთპიროვნული ლიდერია. II ადგილზეა სმისლოვი — 9,5, III — ფიშერი — 9.

◆ **სოჭი,** 13 სექტემბერი. მ. ჩიგორინის მემორიალზე გაიმართა XIII და XIV ტური. XIII ტურის ცენტრალური პარტია სპასკისა და უნციკერს შორის ყაიმით დასრულდა. ნეჟმეტდინოვმა დაამარცხა კოტკოვი. ზაიცევ — ჩირიჩის, კროგიუს — ანტოშინის, ილივიცკი — გარსიას, მალიხ — დამიანოვიჩის პარტიები ყაიმით დამთავრდა. XIV ტურში ჩირიჩმა მოუგო ნეჟმეტდინოვს, დამიანოვიჩმა — ანტოშინს, ილივიცკიმ — უიტუმენს, კროგიუსმა — გარსიას. მალიხ — სპასკის, კოტკოვ — იანსასა და ფლორ — ზაიცევის პარტიები ყაიმით დამთავრდა. უკანასკნელი ტურის წინ სპასკის 10 ქულა აქვს, ჩირიჩს — 9, უნციკერს — 8,5 და 1 გადადებული პარტია.

◆ **პრაღა,** 13 სექტემბერი. მოტოციკლისტთა საერთაშორისო ასპარეზობაზე, რომელშიც ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, შვეციის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის და სსრ კავშირის სპორტსმენები მონაწილეობდნენ, გაიმარჯვა და „ოქროს ჩაფხუტის" პრიზი მოიგო ფ. შაინუროვმა (სსრკ).

◆ **რომი,** 13 სექტემბერი. „მოტორთა მატჩზე" იტალიელ და საბჭოთა მოტოციკლისტთა შეჯიბრებაში წიდიან ბილიკზე ექვსი პირველი ადგილი ჩვენს სპორტსმენებს დარჩათ (I იყო ვ. ტროფიმოვი). მოტოკროსშიც საბჭოთა სპორტსმენმა ა. იაკოვლევმა გაიმარჯვა.

№ 1 მოჭადრაკის სახელისათვის

გაფრინდაშვილ — კუშნირის მატჩის წინ

მალე გაირბინა სამმა წელმა. თითქოს გუშინ იყო, 1962 წლის სექტემბერ-ოქტომბერს რომ ნონა გაფრინდაშვილი ჭადრაკის დედოფლის ტახტზე ავიდა. და აი, 18 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონი ბრძოლას იწყებს მოსკოველ ოსტატ ალა კუშნირთან უმაღლესი ტიტულის დასაცავად. ეს ორთაბრძოლა იქნება წლევანდელი სპორტული სეზონის ერთ-ერთი თვალსაჩინო ასპარეზობა.

სპორტული სამყარო კარგად იცნობს ნ. გაფრინდაშვილსა და ა. კუშნირს. მათზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ჩვენ მხოლოდ მოგაგონებთ, რომ ორივე მეტოქე 24-24 წლისაა და იმასაც დავსძენთ, რომ მათი თამაშის სტილის დიამეტრალური განსხვავება საგრძნობლად ამწვავებს და საინტერესოს ხდის ბრძოლას.

მატჩი მოეწყობა ფიდე-ს დებულების შესაბამისად. მეტოქენი გაითამაშებენ 16 პარტიას, მაგრამ თუ რომელიმე ადრე დააგროვა 8,5 ან 9 ქულა, ორთაბრძოლა შეწყდება. ნონას ტიტულის შესანარჩუნებლად მატჩის ყაიმით დამთავრებაც ყოფნის მაშინ, როცა ალამ აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს, რომ ჩემპიონი გახდეს. პრეტენდენტები კვირაში სამ პარტიას ითამაშებენ.

ფიდე-მ დაამტკიცა მეტოქეთა სეკუნდანტები და მატჩის არბიტრი, რომელთა კანდიდატურა თვით მოჭადრაკე ქალებმა წარადგინეს. ნ. გაფრინდაშვილის სეკუნდანტია სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი მ. შიშოვი, ა. კუშნირისა — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატობის კანდიდატი ბ. პერსიცი. მთავარი არბიტრია გამოჩენილი ჩეხი ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ნ. გრუშკოვა-ბელსკა. სხვათა შორის, ნ. გრუშკოვა-ბელსკა არბიტრობდა ბიკოვა—გაფრინდაშვილის მატჩსაც.

პროგნოზების მოყვარულებს შეგვიძლია ვაცნობოთ, რომ გამოჩენილი მოჭადრაკეები და სპორტული ჟურნალისტები გამარჯვებას ნ. გაფრინდაშვილს უწინასწარმეტყველებენ. ეს აიხსნება ნონას შთამბეჭდავი თამაშით ბოლო დროის თითქმის ყველა ტურნირში. საინტერესოა ისიც, რომ გაფრინდაშვილი და კუშნირი ოფიციალურ ტურნირებში ერთმანეთს 1958 წლიდან ხვდებიან. მათ ერთმანეთში ათზე მეტი პარტია აქვთ ნათამაშევი. კუშნირმა სამჯერ იზეიმა გამარჯვება, ნონამ — ოთხჯერ. დანარჩენი შეხვედრები ყაიმით დასრულდა.

ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირის მატჩით, უდავოა, ქალთა ჭადრაკის მატიანეში ახალი, დიდმნიშვნელოვანი ფურცელი ჩაიწერება.

თ. გიორგაძე.

ჭადრაკი

„ერთ-ერთი სამთაგან...“

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის პრეტენდენტები, საბჭოთა დიდოსტატები ბორის სპასკი და მიხეილ ტალი ფინალურ ბრძოლას დაიწყებენ თბილისში, 1 ნოემბერს.

მომავალ მატჩთან დაკავშირებით რამდენიმე შეკითხვით მივმართე ბ. სპასკის, რომელიც სოჭში იმყოფება და მიხეილ ჩიგორინის მემორიალში მონაწილეობს.

ტალ—სპასკის მატჩის წინ

— თქვენი აზრით, ვინ გაიმარჯვებს პრეტენდენტთაგან?

— ერთ-ერთი მათგანი...

— საჭადრაკო გვირგვინი ყოველგვარ შემთხვევაში საბჭოთა კავშირში დარჩება, მაგრამ სახელდობრ რომელი დაეუფლება მას?

— ერთ-ერთი სამთაგან, — მიპასუხა გაღიმებულმა სპასკიმ.

— როგორია თქვენი აზრი მსოფლიო პირველობის გათამაშების ახლანდელი სისტემის შესახებ?

— მე საფუძველი არა მაქვს უკმაყოფილო ვიყო. მაგრამ პრაქტიკა ადასტურებს, რომ ამ სისტემას მთელი რიგი უარყოფითი მხარეები აქვს. უპირველეს ყოვლისა, ამ შეჯიბრებებში გაიზარდა ეტაპების რიცხვი და ახლა მსოფლიო ჩემპიონის წოდების პრეტენდენტები მიზნის მისაღწევად გაცილებით უფრო მეტ ძალ-ღონეს ხარჯავენ.

ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის გამართვა ორ წრედ 12 უძლიერესი მოჭადრაკის მონაწილეობით. ეს პასუხობს ჭადრაკის თანამედროვე მდგომარეობას და შეჯიბრებათა დაგეგმვის საშუალებას იძლევა, რისი გაკეთებაც მატჩების წინ შეუძლებელია.

— შეუძლია თუ არა ტიგრან პეტროსიანს დამშვიდებული იყოს თავისი „ტახტის“ ბედის გამო?

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტალი და მე ხელს ავიღებთ ჩვენს პრეტენზიებზე.

— ჭადრაკის მოყვარულთა შორის ფინალური მატჩი დიდ ინტერესს იწვევს. გამართლდება თუ არა მათი იმედები?

— ვფიქრობ, რომ ორთაბრძოლა საინტერესო და შინაარსიანი იქნება. ყოველი ჩვენგანი, უეჭველია, შეეცდება ითამაშოს მძაფრად, შემოქმედებითად.

— უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს ტალთან მატჩის წინ სოჭის ტურნირში თქვენი მონაწილეობა?

— ვიმედოვნებ, რომ არა. მე დიდი სიამოვნებით გამოვდივარ აქ, თუმცა არ შემიძლია ვითამაშო მთელი ძალით.

— გამოცადეთ თუ არა თქვენი ახალი საჭადრაკო ჩანაფიქრები სოჭის ტურნირის პარტიებში?

— ჯერჯერობით ბორისმა მხოლოდ შავი ზღვის სიღრმე „გამოცადა“ „პრიმორსკაიას“ სასტუმროს ახლოს, სადაც იგი ცხოვრობს, — ხუმრობს დიდოსტატი იგორ ბონდარევსკი, რომელიც ჩვენს საუბარს ესწრება.

ბონდარევსკი სპასკის მწვრთნელია, ხოლო ამჟამად — სოჭის ტურნირის მთავარი მსაჯი...

ვ. ბაბკინი.

სოჭი.

კვირადღის ასპარეზობანი

ბუქარესტი, 12 სექტემბერი. რუმინეთისა და სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით—13:11.

ლისაბონი, 12 სექტემბერი. კიეველმა ვ. მანკინმა „ვერცხლი“ მოიპოვა აფროსანთა ევროპის ჩემპიონატზე „ფინების“ კლასში. I იყო ბ. დემელი (გდრ).

ვარშავა, 12 სექტემბერი. ფრენბურთში მსოფლიო თასის შესარჩევ თამაშებში ვაჟთა შორის საბჭოთა გუნდმა მოუგო პოლონელებს — 3:2.

გრონინგენი, 12 სექტემბერი. თვეზე ნაკლებ ხანს გაძლო ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელის ადა კოკის მსოფლიო რეკორდმა ბატერფლაის სტილით 200 მეტრზე ცურვაში. ამჯერად 18 წლის ჰოლანდიელმა სპორტსმენმა ქალმა აღნიშნული დისტანცია 2 წუთსა და 25,3 წამში დაფარა. ეს შედეგი 0,5 წამით უმჯობესია მისსავე ადრინდელ რეკორდზე.

ოსლო, 12 სექტემბერი. კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა მსგავსად ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალში გავიდა ნორვეგიის კლუბი „როზენბორგი“, რომელმაც ორჯერ ერთნაირი ანგარიშით — 3:1 — დაამარცხა ისლანდიის „რეიკიავიკი“.

ქუთაისი

ამ დღეებში ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი საგანგებოდ იყო მორთული. აქ მოეწყო საქალაქო ზეიმი, რომელიც ახალი სასწავლო წლის დაწყებას მიეძღვნა. პარკში სხვა ღონისძიებებთან ერთად გაიმართა მოსწავლეთა მასობრივი სპორტული შეჯიბრებანი. დიდი ინტერესი გამოიწვია 31-ე და მე-15 საშუალო სკოლების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრამ. სპორტულად დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება წილად ხვდათ 31-ე სკოლის სპორტსმენებს — 1:0. მე-7 სკოლის ნაკრებმა იოლად მოუგო 23-ე სკოლის გუნდს — 6:1.

არც კალათბურთის ქომაგები დარჩენილან „უქმად“. ისინი გატაცებით ადევნებდნენ თვალყურს მე-2 და 23-ე სკოლათა ნაკრები გუნდების მატჩს. გაიმარჯვეს მე-2 სკოლის წარმომადგენლებმა — 42:33. ამავე სკოლების ფრენბურთელთა გუნდების შეჯიბრებაშიც გამარჯვება წილად მეორესკოლელებს დარჩათ.

ი. ძოძუაშვილი.

ზუგდიდი

ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივი, რომელსაც ინსტრუქტორი ნელი ჰუროღულია ხელმძღვანელობს, ნაყოფიერად მუშაობს.

[illegible]

აქ შექმნილია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ძალოსნობის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, ტყვიით სროლის, ველოსპორტის სექციები. მათში 100-ზე მეტი მუშა-სპორტსმენია გაერთიანებული. ფაბრიკაში ხშირად ეწყობა შიდასაკოლექტივო ღონისძიებანი, რეგულარულად მონაწილეობენ რაიონულ შეჯიბრებებში და უკვე შეასრულეს მიმდინარე წლის ნიშნოსან-თანრიგოსნების მომზადების გეგმა.

გ. ალშიბაია.

თელავი

უჩვეულო მატჩი შედგა ამას წინათ თელავის სტადიონზე. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ნადიკვარი“ და თელავის რაიონის ფეხბურთის ვეტერანები. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 4:4

ვეტერანთა გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ბ. გვაზავა, ლ. ნიკიტინი, ვ. გოგიაშვილი, ვ. ბალასანიანი, ს. ძამუკოვი, ვ. მარტიროზოვი, ლ. ბაღდასაროვი, გ. ჩიტალაძე, ჯ. ჯიჯეიშვილი, ბ. ჯაფარიძე და ა. ბარსკი.

ნ. ცერცვაძე.

[illegible]

ე. კაკაბაძე მტკიცე ლიდერია

ბათუმი, 13 სექტემბერი, (**ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.**). „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირად პირველობაზე ჭადრაკში გაიმართა 8 ტური. შესანიშნავად თამაშობს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქალთა შორის ე. კაკაბაძე. პირველ ხუთ ტურში მან 4,5 ქულა მოაგროვა, ხოლო მომდევნო 3 ტურში ზედიზედ სამი გამარჯვება იზეიმა (ა. რუბინჩიკთან, მ. ვართანიანთან და ფ. გოლდბერგთან შეხვედრებში). ფ. გოლდბერგთან პარტია კაკაბაძემ ისე კარგად ჩაატარა, რომ სილამაზის პრიზის ერთი ძირითადი პრეტენდენტობა დაიმსახურა. საერთოდ ამ ტურნირში ქართველი მოჭადრაკე ქალი დიდი აღმავლობით თამაშობს და სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის ყველაზე სერიოზული შანსები აქვს. იგი 7,5 ქულით ლიდერობს ასპარეზობას. 5,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს მსოფლიოს ექსჩემპიონს ო. რუბცოვას. ე. ლისაია 5 ქულით III, ხოლო ი. პოპრუკალო — 4,5 ქულით IV ადგილზეა.

ლ. ნაჭყებია.

თბილისელი ელგუჯა ძიძიგური საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მესტენდურეა. იგი ყოველთვის წარმატებით გამოდის რესპუბლიკურ ტურნირებში და სათანადო კონკურენციას უწევს ამ სახეობის აღიარებულ ოსტატებს.

სურათზე: ე. ძიძიგური ცეცხლის ხაზზე.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

დღეს იწყება VI ტრადიციული

14, 15 და 16 სექტემბერს ტანვარჯიშის მოყვარულები თბილისის სპორტის სასახლეში იხილავენ ევროპის საუკეთესო ტანმოვარჯიშეებს. ამ დღეებში თბილისში ჩატარდება მოძმე სოციალისტური ქვეყნების გუნდების VI ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება.

ასპარეზობაში მონაწილეობას იღებენ სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები: ბულგარეთიდან — „სპარტაკი“, ჩეხოსლოვაკიიდან — „რუდა გვეზდა“, რუმინეთიდან — „დინამო“, უნგრეთიდან — „დოჟა“, პოლონეთიდან — „გვარდია“, საბჭოთა კავშირიდან — „დინამო“. გამოვა აგრეთვე სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები.

საინტერესოა მცირე ისტორიაც: პირველი ასეთი შეჯიბრება ჩატარდა 1960 წელს, მოსკოვში, სადაც როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის გამარჯვებული გამოვიდა ჩვენი ქვეყნის „დინამოს“ ნაკრები გუნდი. მეორედ ტანმოვარჯიშეები შეეჯიბრნენ 1961 წელს ვარშავაში. იქ გაიმარჯვეს პოლონეთის ვაჟთა და სსრ კავშირის ქალთა გუნდებმა.

1962 წელს, ბუქარესტში, III საერთაშორისო ტურნირზე კვლავ ჩვენი ქვეყნის გუნდებმა გაიმარჯვეს, ხოლო 1963 წელს, ბერლინში, ქალთა შორის პირველი იყო გდრ-ის, ვაჟთა შორის კი — სსრ კავშირის კოლექტივები.

1964 წელი, სოფია. მოძმე ქვეყნების ტანმოვარჯიშეთა V ტრადიციული წარმატებები როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის საბჭოთა სპორტსმენებმა მოაღწიეს.

თბილისის ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო ევროპაში, არამედ მსოფლიო მასშტაბით ცნობილი ოსტატები: გდრ-დან — ი. ფიშმანი, ევროპის პირველობის პრიზიორი ბ. რადოხლა, ლ. ფიორსტერი, უნგრეთიდან — ლ. ვარგა, რუმინეთიდან — ფ. ორონდა, პოლონეთიდან — ა. როკოსა, ჩეხოსლოვაკიიდან — ლ. კრბეცი და სხვ.

საბჭოთა კავშირიდან გამოსულენ ჩვენი ქვეყნის 1964 წლის აბსოლუტური ჩემპიონი ქალთა შორის, 16 წლის ლარისა პეტრიკი, გამოჩენილი სპორტსმენები [illegible] და სხვ., ვაჟთა შორის — ევროპის იუნიორთა ჩემპიონი მ. ვორონინი, ი. ცაპენკო და ა. შ.

საბჭოთა კავშირის „დინამოს“ სპორტულ ღირსებას დაიცავს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები: ა. ჯანუყაშვილი, ნ. მაკალათია, [illegible] და საბჭოთა კავშირის ნიჭიერი სპორტსმენი ი. ნინოშვილი.

ქართველი სპორტსმენები იქნებიან ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში: ვაჟებში — [illegible] და შ. აზარიშვილი, გოგონებში — შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, 15 წლის თბილისელი მოსწავლე რ. მერიკიშვილი, რომელმაც მცირე ხნის წინ [illegible]

თბილისის სპორტის სასახლეში გამართული ასპარეზობის განრიგი ასეთია:

14 სექტემბერს შეჯიბრებას იწყებენ ვაჟები. 10 საათზე — ხტომები, ტანზე და რგოლებზე; 17 საათზე — თავისუფალი ვარჯიში, ორძელი და ძელი. შეჯიბრება იწარმოებს ნებისმიერი პროგრამით და აბსოლუტური ჩემპიონი გამოვლინდება ამავე დღეს.

15 სექტემბერს ასპარეზობაში ჩაებმებიან ქალები; 10 საათზე — ხტომები და დირა, 17 საათზე — თავისუფალი ვარჯიში და ორძელი.

16 სექტემბერს 17 საათიდან ჩატარდება ფინალური ასპარეზობა (თითოეულ იარაღზე საუკეთესო ექვსეული) როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის.

გ. მამარდაშვილი,
სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვება... 60 წუთში

თასი „გურიას" დარჩა

ფეხბურთში საქართველოს ფიზკულტურული კოლექტივების თასის გათამაშების განმეორებით ფინალურ მატჩში, რომელიც კვირას გაიმართა „დინამოს" სტადიონზე, ახალციხის „მესხეთს" ძვირად დაუჯდა წინა დღით მცველ ნებურიშვილის (და არა ფოცხვერიას) თვითნებობა. ნებურიშვილს მოედნიდან გაძევების გამო აეკრძალა განმეორებით შეხვედრაში მონაწილეობა, მისი შემცვლელი კი კოლექტივს არ აღმოაჩნდა.

ახალციხელთა საქმეს ართულებდა ისიც, რომ მათ კარს იცავდა მინდვრის მოთამაშე აკოფიანი. „მესხეთის" ფეხბურთელებმა ამ დანაკლისის საკომპენსაციოდ მონდომებულ, უფრო ტექნიკურ თამაშს მიმართეს. თავდამსხმელები ადვილად ნახულობდნენ თავისუფალ ადგილებს და მწვავედ უტევდნენ მეტოქის კარს, ხოლო დაცვა თავგამოდებული მოქმედებით ახერხებდა ლანჩხუთელთა იერიშების ნეიტრალიზებას.

შეხვედრის მე-19 წუთზე „მესხეთმა" ახალი დანაკლისი განიცადა — აკოფიანმა ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა. ახლა 9 ახალციხელი ებრძოდა 11 ლანჩხუთელს. ამ უკანასკნელებმა პირველ წარმატებას მხოლოდ 45-ე წუთზე მიაღწიეს, როცა ჰყონიამ ანგარიში გახსნა.

მატჩის განახლებისთანავე „მესხეთი" საჯარიმო მოედანზე უხეში თამაშისთვის 11-მეტრიანით დაჯარიმდა. იგი ზუსტად გამოიყენა ნარიაშვილმა — 2:0. ამ მომენტიდან მოყოლებული აშკარა გახდა ლანჩხუთელთა უპირატესობა. „მესხეთის" ფეხბურთელებს კი აშკარად დაეტყოთ უთანასწორო ბრძოლის გავლენა — სპორტსმენები დაიღალნენ, დაკარგეს სიზუსტე გადაცემებში და სისწრაფე მოძრაობაში. მართალია, „მესხეთი" 6 კაცით იცავდა კარის მისადგომებს და წინ მხოლოდ ორი ფეხბურთელი ჰყავდა, მაგრამ 55-ე წუთზე ლანჩხუთელმა კოხრეიძემ მესამე ბურთი გაიტანა.

მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო და ამან ახალციხელებში ბრძოლის გაგრძელების სურვილი ჩაკლა. შემდეგ „მესხეთის" ორმა ფეხბურთელმა ზედიზედ დატოვა მინდორი და მსაჯმა ჯ. ყრუაშვილმაც მატჩის 61-ე წუთზე თამაში შეწყვიტა: დებულების თანახმად, თუ რომელიმე გუნდში 8 ფეხბურთელზე ნაკლები დარჩება, შეხვედრა აღარ გრძელდება.

ასე დარჩა საქართველოს თასი ლანჩხუთის კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდს — „გურიას".

ო. ივდოშვილი.

უნუგეშო შედეგები

საქართველოს პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში

4 გუნდი, 16 სპორტსმენი, 10 პირად პირველობაში მონაწილე — ასეთი შემადგენლობა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებისთვისაც ცოტაა და რესპუბლიკურ პირველობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სიახლე არ გახლავთ, რომ თანამედროვე ხუთჭიდი ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი ჩამორჩენილი სახეობაა. მაგალითებისთვის შორს წასვლა არ მოგვიხდება: ახლახან მოსკოვს დამთავრებულმა VIII საკავშირო სპარტაკიადამ ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რა უნუგეშო მდგომარეობაშია სპორტის ეს სახეობა საქართველოში. სურათი კიდევ უფრო მუქ ფერებში წარმოგვიდგება, თუ დავუმატებთ, რომ მოსკოვში ჩვენგან ლამის რესპუბლიკის ნაკრები გუნდი გამოდიოდა (არ იყო მხოლოდ ი. მურომცევი) და 14 გუნდს შორის მხოლოდ მე-10 ადგილი დაიკავა. პირად პირველობაში მონაწილე 56 სპორტსმენს შორის კი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან საუკეთესო — ა. კრავჩენკო — მხოლოდ 26-ე იყო. დანარჩენ სპორტსმენთა მაჩვენებლები ასეთია: ჯ. ფოჩხუა — 28-ე, ლ. სალუქვაძე — მე-40, ვ. ქერაშვილი — 46-ე... როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

ზემოთ დასახელებული სპორტსმენები რესპუბლიკურ ჩემპიონატზეც გამოდიან. ისინი ასპარეზობას ლიდერობენ.

ასპარეზობაში სტარტი აიღო თბილისის ორმა გუნდმა, ქუთაისისა და აფხაზეთის კოლექტივებმა. რესპუბლიკის დედაქალაქს შეეძლო მეტი გუნდიც გამოეყვანა. მაგრამ საქმე რაოდენობაში როდია. მთავარია ხარისხი. აქ კი მდგომარეობა არც თუ სახარბიელოა. რაც შეეხება ასპარეზობაში მონაწილე დანარჩენ 2 გუნდს: აფხაზეთის კოლექტივი, რომელსაც „შინ" შესანიშნავი პირობები აქვს ამ სახეობის განვითარებისთვის, საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში არც მონაწილეობს. ქუთაისელები კი (მწვრთნელი ლ. ადეიშვილი) ნამდვილად ქების ღირსნი არიან. დასამალი არაა, რომ სპორტული ბაზების მხრივ ქუთაისელები ვერ დაიტრაბახებენ: მათ ხეირიანი საცურაო აუზიც არ გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, სპორტსმენები კარგად გამოვიდნენ ამ სახეობაში, ხოლო სროლაში უკან მოიტოვეს თბილისის II გუნდი და საპრიზო II ადგილიც დაისაკუთრეს. თუ ზემოთ აღნიშნულ გუნდებზე ავი თუ კარგი მაინც გვაქვს სათქმელი, პირდაპირ უცნაურია, რატომ საერთოდ არ ჩანან სამხრეთ ოსეთის, ბათუმის, ფოთისა და სხვა დიდი რაიონებისა და ქალაქების სპორტსმენები (დანარჩენებზე რომ არაფერი ვთქვათ)?! დროა საქმე მკვდარი წერტილიდან დავძრათ და ვიზრუნოთ თანამედროვე ხუთჭიდის განვითარებისთვის.

ა. ცეხანელი.

3 დღის ასპარეზობის ტექნიკური შედეგები ასეთია: ფარიკაობა — 1. ი. მურომცევი (თბილისი I) 1192 ქულა, 2-3. ა. კრავჩენკო (თბილისი I) და მ. გოგინაშვილი (თბილისი, პირადი) 1048; სროლა — 1. ი. მურომცევი 1044, 2. ვ. ქერაშვილი (თბილისი I) — 978, 3. ა. შეროზია (თბილისი II) — 956; ცურვა — 1. ა. კრავჩენკო — 952, 2. ა. შეროზია — 877, 3. ლ. სალუქვაძე (თბილისი II) — 847. სამი სახეობის ჯამში: 1. ი. მურომცევი — 2960, 2. ა. კრავჩენკო — 2912, 3. ჯ. ფოჩხუა (თბილისი I) — 2606. გუნდურ ჩათვლაში როგორც ცალკეულ სახეობებში, ისე სამი სახეობის

მ. დავითაშვილი — თბილისის მე-14 საშუალო სკოლის XI-კლასელი მოსწავლე — რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეა. მის სპორტულ დაოსტატებას ხელმძღვანელობს გამოცდილი მწვრთნელი ე. ქოვლიევა.

ს უ რ ა თ ზ ე: მ. დავითაშვილი ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს.

ფოტო ი. იუნაევისა.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

„ა" კლასი

„სპარტაკი" — „ლოკომოტივი"

13 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. თამაშობდნენ დედაქალაქის კოლექტივები „სპარტაკი" და „ლოკომოტივი". მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც „სპარტაკმა" გაიტანა მეტოქის კარში—1:0. გოლის ავტორია ი. სიომინი.

„ბ" კლასი

„დინამო" (სოხუმი) — „დინამო" (ბათუმი) 2 : 0

მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო მთელი 90 წუთის მანძილზე. სოხუმელებს ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის საშუალება, მაგრამ თავდამსხმელთა საბოლოო დარტყმები არ იყო ზუსტი. ბათუმის დინამოელთა ეპიზოდურ შეტევებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

„მეშახტე" (ტყიბული) — „უროჟაი" (მაიკოპი) 5 : 3

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ მატჩში ორივე გუნდის თავდამსხმელებმა გამოცდა „ფრიადზე" ჩააბარეს. მცველებმა კი... მათ მიმართ სამართლიანი პრეტენზიის წაყენება შეიძლება. მასპინძლები მეტწილად თავდასხმით იყვნენ გართულნი, ხშირად შეტევებში მთელი გუნდი მონაწილეობდა. დაცვაზე კი ისინი ნაკლებს ფიქრობდნენ. სწორედ ეს იყო „მეშახტის" კარში გატანილი სამი გოლის მიზეზი.

„სპარტაკი" (ნალჩიკი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 3 : 1

მასპინძლები, როგორც წესი, უკეთ ატარებენ შეხვედრას. „ბ" კლასის გუნდებისათვის დამახასიათებელ ამ პრინციპს არც ნალჩიკელებმა უღალატეს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რუსთაველის ფეხბურთელებს რამდენჯერმე ჰქონდათ ანგარიშის შეცვლის საშუალება. იყო სახიფათო გასვლები, საგოლო მომენტებიც, არ იყო მხოლოდ... ზუსტი დარტყმები.

„სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ალაზანი" (გურჯაანი) 0 : 0

შეიძლება ითქვას, რომ „ალაზანმა" გეგმით გათვალისწინებული ქულა აიღო. მეტზე სტუმრები არც ოცნებობდნენ. საპატიო ფრეს გურჯაანელებმა, პირველ რიგში, მასირებული დაცვის მეშვეობით მიაღწიეს.

„ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდების დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ლორი" (კიროვაკანი) — „შრომითი რეზერვები" (კისლოვოდსკი) 2:1, „შირაკი" (ლენინაკანი) — „დინამო" (სტავროპოლი) 4 : 1, „ლერნაგორცი" (კაფანი) —„ცემენტი" (ნოვოროსიისკი) 1 : 1, „დინამო" (მახაჩყალა)—„ფოლადი" (სუმგაითი) 1 : 0, „დინამო" (ბაქო) — „დინამო" (კიროვაბადი) 2 : 1.

გათამაშების ცხრილი

რსფსრ-ს IV ზონა

მდგომარეობა 14 სექტემბრისათვის

„სპარტაკი" (ნალჩიკი)	28	16	8	4	43—16	40
„დინამო" (ბაქო)	28	16	6	6	46—23	38
„ცემენტი" (ნოვოროსიისკი)	29	14	8	7	36—25	36
„დინამო" (სოხუმი)	28	16	3	9	43—29	35
„შირაკი" (ლენინაკანი)	29	13	7	9	41—32	33
„ხპარტაკი" (ორჯონიკიძე)	27	14	4	9	44—31	32
„დინამო" (კიროვაბადი)	28	12	8	8	25—20	32
„უროჟაი" (მაიკოპი)	28	11	7	10	47—35	29
„კოლხიდა" (ფოთი)	29	11	7	11	29—35	29
„ლორი" (კიროვაკანი)	28	11	6	11	29—29	28
„დინამო" (ბათუმი)	29	10	8	11	29—34	28
„დინამო" (მახაჩყალა)	28	11	5	12	30—34	27
„მეშახტე" (ტყიბული)	29	10	7	12	37—45	27
„ენგური" (ზუგდიდი)	29	8	11	10	28—37	27
„შრ. რეზერვები" (კისლოვოდსკი)	29	8	10	11	30—38	26
„ლერნაგორცი" (კაფანი)	28	8	7	13	34—41	23
„ალაზანი" (გურჯაანი)	28	8	7	13	28—36	23
„დინამო" (სტავროპოლი)	29	7	7	15	29—44	21
„მეტალურგი" (რუსთავი)	28	3	11	14	24—46	17
„ფოლადი" (სუმგაითი)	28	5	7	16	29—58	17

ფინალისტთა ფინალში

სარატოვი, 13 სექტემბერი. **(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).** დამთავრდა „ა" და „ბ" კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული ჭაბუკთა გუნდების საკავშირო ტურნირის ფინალური მატჩები ქვეჯგუფებში. უკანასკნელ ტურში თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდი შეხვდა კიევის „დინამოს".

მატჩი თბილისელთა უპირატესობით დაიწყო და მე-15 წუთზე ნადირაშვილმა გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ, კიევის „დინამო" ორჯერ იხსნა კარის ძელმა. პირველ ნახევარში ანგარიში არ შეცვლილა. შესვენების შემდეგ უკრაინელმა ფეხბურთელებმა საპასუხო გოლი გაიტანეს. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ფინალისტთა ოთხეულში მოხვდნენ: თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა და კიევის „დინამო" — 1-1 ქულით (II ქვეჯგუფში გამარჯვებულნი), აგრეთვე მოსკოვის „დინამო" — 2 ქულით და ზაპოროჟიეს „სტრელა" — 0 ქულით (I ქვეჯგუფში გამარჯვებულნი).

ახალი ამბები

● **ბ უ დ ა პ ე შ ტ ი,** 12 სექტემბერი. აქ მიმდინარე უნგრეთის ძალოსანთა ჩემპიონატზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა მჩატე წონის სპორტსმენმა ი. ფიოლდიმ: მან სამჭიდის ჯამში 362,5 კგ (120+105+137,5) დააგროვა, რაც 5 კილოგრამით აღემატება 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა ძალოსნის ა. ვახონინის მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს. მის მიერ ნაჩვენები შედეგი აჭიმვაში (120 კგ) ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე მეტია, მაგრამ აწონვისას სპორტსმენი ნორმაზე მეტი გამოდგა და რეკორდიც ამიტომ არ ჩაითვალა.

● **რიგა.** 12 სექტემბერი. დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა აფროსნობაში. გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონობა მოიგო ლენინგრადის კოლექტივმა. პირადში შარშანდელი ჩემპიონებიდან ეს ტიტული მხოლოდ ტ. პინეგინმა (მოსკოვი) შეინარჩუნა „ვარსკვლავის" კლასში. „5,5" კლასში I ადგილი დაისაკუთრა ვ. გორლოვმა (ლენინგრადი). „დრაკონებით" რბოლა ვაჟთა შორის მოიგო ი. შავრინმა (მოსკოვი), ქალთა შორის — ესტონელმა უ. იურიემ.

● **მ ო ს კ ო ვ ი,** 12 სექტემბერი. აკადემიურ ნიჩბოსნობაში ჩვენი ქვეყნის პირველობა მოიგეს: ერთადგილიანებით — ვ. ივანოვმა (მოსკოვი) — 8.27,0, ორიანებით (უმესაჭოდ) — ი. სუსლინმა და ა. ფედოროვმა (ლენინგრადი) — 8.09,2, ორიანებით (მესაჭით) — ლ. რაკოშჩიკმა და ნ. საფრონოვმა (მოსკოვი) — 8.23,4, ორადგილიანი წყვილმოსასმელიანით — ო. ტიურინმა და ხ. დუბროვსკიმ (მოსკოვი) — 7.43,2, ოთხიანებით (უმესაჭოდ) — ლიტვის გუნდმა — 7.13,8, ოთხიანებით (მესაჭით) — ლიტვის გუნდმა (მესაჭე ზ. იუნკა) — 7.21,7, რვაადგილიანებით — მოსკოვის გუნდმა (მესაჭე ი. ხოდოროვი) — 6.32,6. საქართველოს ნიჩბოსნები ასპარეზობაში სუსტად გამოვიდნენ.

● **მ ო ს კ ო ვ ი.** გაიმართა სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ძიუდოისტთა ამხანაგური შეხვედრა. ყოველი გუნდის შემადგენლობაში 6-6 სპორტსმენი გამოდიოდა. მატჩი მოიგეს საბჭოთა ძიუდოისტებმა 8:2. ორი შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

● **მოსკოვი, 12 სექტემბერი.** 4 დღეს გრძელდებოდა ბულგარეთის, გფრ-ის, ინგლისის, ირლანდიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის უძლიერეს მხედართა ასპარეზობა ცხენოსნურ სამჭიდში. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა პოლონელმა მ. ბაბირეცკიმ. მას 1,1 ქულით ჩამორჩა საბჭოთა მხედარი ლ. ბაკლიშკინი. III ადგილზეა ხ. კარსტენი (გფრ). გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა მხედრებმა (ლ. ბაკლიშკინი, ა. ევდოკიმოვი, ა. მურსალიმოვი, ვ. გორელკინი).

იერიში დროზე

გადალახავენ თუ არა ავტომრბოლელები „ბგერის ზღუდეს“?

სულ მცირე ხნის წინ ეს კითხვა აბსურდად, ყოველგვარ აზრს მოკლებულად მოგეჩვენებოდათ. მართლაც, მიწაზე მოძრაობის სიჩქარის აბსოლუტური მსოფლიო რეკორდი სულ რაღაც ერთი წლის წინ 648,5 კმ-ს შეადგენდა საათში — „ბგერის ზღუდის“ დაახლოებით ნახევარს. ეს მიღწევაც მოპოვებულ იქნა მრავალწლიანი მეცადინეობისა და



ამაო ცდების შემდეგ, დაემხოთ 1947 წელს დამყარებული რეკორდი, რომელიც საათში 634,4 კმ-ს უდრიდა. 17 წელი მოუნდა კაცობრიობას, რათა რეკორდი საათში რაღაც 14 კმ-ით გაეუმჯობესებინა.

და მაინც, არსებობს რეალური საინჟინრო პროექტები „ბგერის ზღუდის“ გადასალახავად. ეს პროექტები წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ზოგიერთმა მრბოლელმა თავის ავტომობილზე რეაქტიული ძრავა დადგა. პრესაში უკვე იყო ცნობა სიჩქარის აბსოლუტურ მსოფლიო რეკორდზე, რომელიც ასეთი ავტომობილით დაამყარა მრბოლელმა არტ არფონსმა (863,72 კმ საათში). არფონსი ერთ-ერთი ცდისას მეტად ახლო იდგა თვით 900-კილომეტრიანი ზღურბლის გადალახვასთან. „საზომი მილი“ (1609,33 მეტრი) ერთი მიმართულებით მან 6,44 წამში გაიარა.

ამ თითებზე ჩამოსათვლელი წამებით იქნა შეძენილი თავისი მნიშვნელობით უდიდესი გამოცდილება, რომელიც პრაქტიკულად საფუძვლად დაედო ზემოაღნიშნულ პროექტებს. მან გვიჩვენა, რომ რეაქტიული ავტომობილები არა მარტო უფრო სწრაფად დადიან, ვიდრე დგუშიანი და გაზტურბინიანი მანქანები, არამედ უამრავ დიდ შესაძლებლობასაც შეიცავენ. სპეციალისტების უმრავლესობა მაინც ერთობ სკეპტიკურად აფასებდა „ბგერის ზღუდის“ გადალახვის პერსპექტივას — მიუთითებდა სარბოლო ტრასების გამოუსადეგრობაზე, აუცილებელი მასალების უქონლობაზე, ძრავათა შესაძლებლობების შეზღუდულობაზე და ა. შ. მაშინ საქმეში ჩაერივნენ თვით რეკორდსმენები და მათი მანქანების კონსტრუქტორები, რომლებმაც თავიანთი პროექტები გამოაქვეყნეს. აი, მაგალითად, „მწვანე ურჩხული II“, რომელიც არტ არფონსს ეკუთვნის (იხილეთ სურათი). აქ ძნელი არ არის დავინახოთ დამახასიათებელი ხაზები იმ მანქანისა, რომლითაც ზემოაღნიშნული რეკორდი იქნა დამყარებული. შენარჩუნებულია რამდენადმე უჩვეულო აეროდინამიკური ფორმა, მასიური ცენტრალური სტაბილიზატორი და მძღოლის არც თუ იმდენად მოხერხებული კაბინა, რომელიც მარცხენა მხარესაა მოთავსებული. ძრავის სიმძლავრეზე ჯერ არაფერს იტყობინებიან, მაგრამ კონსტრუქტორების მიერ გათვალისწინებული ნავარაუდევი სიჩქარე საათში 1600 კილომეტრს უდრის!

დამახასიათებელია, რომ დონალდ კემპბელიც, „კლასიკური სქემის“ ავტომობილებით სიჩქარის მსოფლიო რეკორდის მფლობელი, ახლა თვითონაც მიუბრუნდა რეაქტიულ ავტომობილებს. მისი ახალი „ლურჯი ფრინველი III“ არა თუ მძლავრი, რეაქტიული ძრავით იქნება აღჭურვილი, არამედ ერთობ ძალიან ემგვანება კრეგ ბრიდლოვის ცნობილ სამბორბლიან მანქანას, რომელმაც პირველად გადალახა სიჩქარის 800-კილომეტრიანი ზღვარი.

ინგლისელს განზრახული აქვს თავის მანქანაზე საათში 1300 კილომეტრი სისწრაფე განავითაროს.

სანამ რეაქტიული ავტომობილების მომხრენი ცოცხალი დათვის ტყავს იყოფენ, კლასიკური სქემის ავტომობილების ერთგულნი მზად არიან უკვე მიმდინარე წელსვე მნიშვნელოვნად აამაღლონ მისი სიჩქარის „ჭერი“. ასე, მაგალითად, ძმებმა სამერსებმა ონტარიოდან (კალიფორნიის შტატი) ააგეს ახალი სიგარისებური ავტომობილი „ოქროს ისარი“, რომელმაც აეროდინამიკურ მილში საათში 800 კილომეტრზე მეტი სისწრაფის განვითარების შესაძლებლობა დაადასტურა. საინტერესოა, რომ „ოქროს ისარზე“ კონსტრუქტორებმა არა თუ გაზტურბინული ძრავები არ დადგეს, როგორც ეს კემპბელმა მოიმოქმედა თავის რეკორდსმენ „ლურჯ ფრინველ II-ზე“, არამედ ოთხი ტრადიციული დგუშიანი V-ს მსგავსი ძრავა გამოიყენეს, რომელთაგან თითეულის მოცულობა 6980 კბ სმ-ს უდრის.

შეძლებენ თუ არა კლასიკური სქემის ერთგულნი დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ახალი რეკორდების დამყარებისთვის გათვალისწინებული რბოლები მოეწყობა სექტემბერს ან ოქტომბერს. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ამ ბრძოლის ასპარეზზე რეაქტიული მანქანების გამოჩენა ახალ ჰორიზონტს ხსნის სისწრაფის გასაუმჯობესებლად.

ი. კლეინერმანი,
ინჟინერი.
(„ნედელია“).

გამოიცანით, ვინ ხუმრობს ასე?

არც მეტი, არც ნაკლები. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე ქალი, ტოკიოს **XVIII** *ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის მფლობელი სპორტული ტანვარჯიშის მრავალჭიდში, ჩეხოსლოვაკიელი ვერა ჩასლავსკა.*

ჩეხოსლოვაკიის სპორტული ჟურნალი „სტადიონი“, საიდანაც ეს ფოტოა ამოღებული, მთელს გარეკანსა და შიდა ორ გვერდს უთმობს გამოჩენილი ტანმოვარჯიშის შვებულებაში ყოფნის ბოლო დღეს, როცა ფოტოკორესპონდენტმა ბოლოს და ბოლოს „აღმოაჩინა“ ინკოგნიტოდ პლაჟზე გასული ჩემპიონი.

„ტყვედ ჩავარდნილმა“ ვერა ჩასლავსკამ სრული კაპიტულაცია მოახდინა და დათანხმდა ფოტოკორესპონდენტს თავისი დასვენების ამსახველი რამდენიმე სურათი გადაეღო, ოღონდ იმ პირობით, რომ რამდენიმე მათგანში მასთან ერთად მისი... ოთხფეხა მეგობარიც ასახულიყო...

„ოქროს ქალღმერთის“ სტატისტიკა

წელიწადზე მეტია გრძელდება ფეხბურთში მსოფლიოს VIII ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები, რომლებიც როტერდამში ჰოლანდიისა და ალბანეთის ნაკრები გუნდების შეხვედრით დაიწყო. 87 შესარჩევ თამაშში გატანილია 276 გოლი: მატჩში საშუალოდ 3,17 ბურთი. ასეთ შედეგიანობას ყოველი ეროვნული ჩემპიონატი შენატრებდა. მაგრამ ეს უბრალოდ აიხსნება. კენჭისყრის ძალით ზოგიერთ შესარჩევ ჯგუფში სხვადასხვა კლასის მქონე გუნდები გაერთიანდნენ. 54 მატჩში არბიტრებმა მასპინძლების გამარჯვება აღნიშნეს, სტუმრებისა კი — მხოლოდ 19-ში. დანარჩენმა 14 მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. გოლების სარეკორდო რაოდენობა იქნა გატანილი ორ შეხვედრაში: ვენესუელა — პერუ (3 : 6) და ჩილი — კოლუმბია (7 : 2).

წინ კიდევ 37 შესარჩევი თამაშია (მათ რიცხვში უკვე ერთი — დამატებითი: ეკვადორი — ჩილი), რომელთა შემდეგ გამოვლინდება „ოქროს ქალღმერთის“ ყველა პრეტენდენტი. ხოლო 1966 წლის 6 იანვარს ლონდონში შედგება ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობის კენჭისყრა. (საკდესი).

მდგომარეობა გაურკვეველია

ხვალ ოსლოში, მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ნორვეგიისა და საფრანგეთის ეროვნული ნაკრები გუნდები. ოსლოში სენსაციური მარცხის შემდეგ (0:3) იუგოსლავიელები, რომლებიც ქვეჯგუფის ფავორიტებად ითვლებოდნენ, III ადგილზე აღმოჩნდნენ. ხვალინდელი მატჩის შედეგი ფრანგებისთვის მნიშვნელოვანია. დამარცხების შემთხვევაში ისინი ლონდონში გამგზავრების შანსს კარგავენ. საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ა. გერენმა, რომელსაც ოსლოში ორი ქულის აღება აქვს განზრახული, გამოაცხადა თავისი გუნდის შემადგენლობა: ობური, შორდა, ბოსკიე, არტელუზა, კარდიე, ერბენი, მარიანი, ერბე, კომბენი, დუი, ოსერი.

გერენი დიდ იმედებს ამყარებს ცენტრფორვარდებზე კომბენსა და დუიზე (პირველი იტალიის „ვარეზეში“ თამაშობს). საფრანგეთის პრესის აზრით, ნაკრები კარგ შთაბეჭდილებას არ ტოვებს. კომენტატორები გაკვირვებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ გუნდის შემადგენლობაში არ არის შეყვანილი ცნობილი ფრანგი ნახევარმცველი ლ. მიულერი, რომელიც ამჟამად ესპანეთში თამაშობს (მიულერმა მიატოვა მადრიდის „რეალი“ და ახლა „ფკ ბარსელონაშია“). ჟურნალისტებს არ მოსწონთ ნაკრების მეკარის ობურის თამაში. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ფრანგები იუგოსლავიელთა ბედს გაიზიარებენ.

დღეისთვის III ქვეჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	ბ.	ქ.
ნორვეგია	4	9:3	6
საფრანგეთი	3	3:1	4
იუგოსლავია	3	4:4	4
ლუქსემბურგი	4	3:11	0

(საქ. ინფ.).

ქვეყნები და ჩემპიონატები

ინგლისი. ქვეყნის ჩემპიონატში ჩატარდა 7 ტური. წარუმატებლად გამოდის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“. უკანასკნელ კვირაში მან ზედიზედ სამი მატჩი წააგო. უკანასკნელ ტურში „ვესტ ჰემი“ დაამარცხა „ლესტერ-სიტიმ“ — 5:2. ცუდად მიდის ჩემპიონის — „მანჩესტერ იუნაიტედის“ საქმეებიც. მან ჯერჯერობით მხოლოდ ორი მატჩი მოიგო. შაბათს „მანჩესტერი“ საკუთარ მინდორზე დაამარცხა „ბერნლიმ“ — 3:0. უკანასკნელი ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „ტოტენჰემი“ — „არსენალი“ 2:2, „ბლეკპული“ — „ასტონ ვილა“ 0:3, „ჩელსი“ — „ევერტონი“ 3:1, „ლიდს იუნაიტედი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 2:2, „ლივერპული“ — „ფულჰემი“ 2:1, „შეფილდ უენსდეი“ — „ნოტინჰემ ფორესტი“ 3:1, „სტოკ-სიტი“ — „ნიუკასლ იუნაიტედი“ 4:0, „სანდერლენდი“ — „ბლეკბერნ როვერზი“ 1:0.

10-10 ქულით ლიდერობენ „ბერნლი“, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“.

შოტლანდია. გასულ შაბათს დაიწყო შოტლანდიის ჩემპიონატი. პირველი ტურის შედეგები ასეთია: „სელტიკი“ — „კლაიდი“ 2:1, „დანდი“ — „დანდი იუნაიტედი“ 0:5, „დანფერმლაინი“ — „ჰართ ოვ მიდლოტიენი“ 1:1, „ჰამილტონ აკადემიკლსი“ — „ფოლკერკი“ 1:4, „იბერნიენსი“ — „კილმარნოკი“ 3:3, „პარტიკი“ — „გლაზგო რეინჯერსი“ 1:1, „სენტ-ჯონსტონი“ — „აბერდინი“ 2:2, „სენტ-მირენი“ — „მორტონი“ 0:1, „სტერლინგ ალბიონი“ — „მადერუელი“ 1:0.

პოლონეთი. მე-7 ტურის შემდეგ დაწინაურდა ორი გუნდი: ქვეყნის ჩემპიონი „გურნიკი“ (ზაბჟე) და „პოლონია“ (ბიტომი) — 10-10 ქულა. ვარშავის „ლეგიასთან“ შეხვედრას საკუთარ მოედანზე ჩემპიონი აგებდა 0:1, მაგრამ 88-ე წუთზე „გურნიკმა“ გაათანაბრა ანგარიში. VII ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები: „გვარდია“ — „ზაგლემბიე“ 0:4, ლკს — „ვისლა“ 1:1, „რუხი“ — „ზავიშა“ 2:1, „ოდრა“ — „შლიონსკი“ 1:0, „სტალი“ — „შომბიერკი“ 2:2.

ბელგია. გაიმართა I ტურის მატჩები. ქვეყნის ჩემპიონმა „ანდერლეხტმა“ ადვილად მოუგო „ფკ ბრიუგეს“ — 3:1. ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ბეერშოტი“ — „ტილიე“ 2:1, „დარინგი“ — „მალინუა“ 0:0, „ფკ ლიეჟი“ — „ბერინგენი“ 5:0, „სტანდარდი“ — „ანტვერპენი“ 2:2, „ლა განტუაზი“ — „რასინგ-უაიტი“ 2:1, „ლიერსი“ — „ბერჰემი“ 2:1.

იტალია. ჩემპიონატის მეორე ტურში „მილანმა“ საკუთარ მოედანზე მოუგო „ფოჯას“ 1:0. პირველი ლიგის დებიუტანტმა „ნაპოლიმ“ საკუთარ მინდორზე დაამარცხა „კატანია“ 3:1. დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ფიორენტინა“ — „ბრეშია“ 2:0, „კალიარი“ — „სამპდორია“ 1:1, „რომა“ — „სპალი“ 0:2, „ტორინო“ — „ლაციო“ 2:0, „ატალანტა“ — „იუვენტუსი“ 0:0, „ვარეზე“ — „ბოლონია“ 1:4. მილანის „ინტერნაციონალე“ გაემგზავრა ბუენოს-აირესს, სადაც ხვალ საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების საპასუხო მატჩში „ინდეპენდიენტეს“ შეხვდება. ამასთან დაკავშირებით „ლანეროსი“ — „ინტერნაციონალეს“ მატჩი არ შედგა.

ორი ტურის შემდეგ წინ არიან „ბოლონია“ და „ნაპოლი“ — 4-4 ქულა.

(საქ. ინფ.).

▲ **ვარშავა.** პოლონეთში სტუმრად მყოფი სოფიის მოჭიდავეთა ნაკრები (კლასიკური სტილი) ამხანაგურ მატჩში სილეზიის ოლქის გუნდს შეხვდა. ანგარიშით 5,5:2,5 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

▲ **შტუტგარტი.** დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ადგილობრივი და პოლონეთის მოკრივეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. გაიმარჯვეს პოლონელმა სპორტსმენებმა — 6:4.

▲ **ბელგრადი.** იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაციამ საერთაშორისო ფედერაციისაგან მიიღო წინადადება 1970 წლის ქალთა მსოფლიო პირველობის ჩატარების შესახებ.

▲ **პრაღა. დამთავრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა კოლუმბიელმა როდრიგესმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა უნგრელი გუიაში (6:2, 6:3, 6:4). ქალთა შორის უძლიერესი იყო ვოპიცკოვა (ჩეხოსლოვაკია).**

▲ **ბერლინი.** მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ადგილობრივი „დინამოსა“ და პოლონეთის „გვარდიის“ კალათბურთელ ვაჟთა ამხანაგური შეხვედრა. ანგარიშით 87:84 გაიმარჯვეს გერმანელმა სპორტსმენებმა.

▲ **მეხიკო.** *მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მასპინძლებმა გააუმჯობესეს თავიანთი ქვეყნის 13 რეკორდი.*

▲ **ბელგრადი.** 24 წლის სტაიერმა ნ. ფარჩიჩმა 10.000 მ გაირბინა 29.00,8-ში და იუგოსლავიის რეკორდი დაამყარა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66418
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა-კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 12263